უნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია გარემოს დაცვა, რაც თავის თავში მოიცავს მუნიციპალიტეტის დასუფთავებას და ნარჩენების გატანას, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობას, კაპიტალურ დაბანდებებს დასუფთავების სფეროში. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს სუბსიდირება.

პროგრამული კოდი	დასახელება	2024წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
0301	დასუფთავება და ნარჩენების მართვა	2823,7	2720,0	2720,0	2720,0
030101	მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2481,8	2400,0	2400,0	2400,0
030102	ნარჩენების გადამამუშავება	270,0	270,0	270,0	270,0
030103	გარემოს დაცვითი სხვა ღონისძიებები	71,9	50,0	50,0	50,0
0302	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	382,6	375,0	375,0	375,0
0303	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში	1551,5	0,0	0,0	0,0
	<b>სულ პრიორიტეტი</b>	<b>4757,9</b>	<b>3095,0</b>	<b>3095,0</b>	<b>3095,0</b>

### ა) დასუფთავება და ნარჩენების მართვა

კოდი	პროგრამის დასახელება	დასუფთავება და ნარჩენების მართვა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
0301			2823,7



<p>გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა</p>	<p>მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება</p>
<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის ცალკეული ტერიტორიის, მწვანე საფარის, ქალაქში არსებული ეზოების დაგვა-დასუფთავება; სანაგვე კონტეინერების გარეცხვა, ქალაქის ცალკეული ტერიტორიების, ქუჩების მორწყვა-მორეცხვა; ქალაქის ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო საშუალებების განხორციელება და საჭიროების შემთხვევაში თოვლის მასის გატანა; მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქალაქში მოძრაობის აღკვეთა; საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა; ნაგავსაყრელის ექსპლუატაცია და სანიტარული მომსახურება; დღეს არსებული სიტუაციით სულ მუნიციპალიტეტში სუფთავდება 170713 კვმ ფართობი, დასუფთავების სერვისით მთელი მუნიციპალიტეტის მოცვისთვის საჭიროა დამატებითი ურნების და ნაგვის მანქანების შესყიდვა.</p> <p>პროგრამა პასუხობს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მუნიციპალიტეტის ლოკალიზების გეგმის შემდეგი ამოცანის შესრულებას:</p> <p>11.6 2030 წლისთვის მუნიციპალიტეტში ერთ სულ მოსახლეზე გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება, მათ შორის, მუნიციპალური და სხვა ნარჩენების მართვის საკითხებზე განსაკუთრებული ყურადღების დათმობით</p>
<p>პროგრამის საბოლოო შედეგი</p>	<p>შექმნილია პირობები მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის და უზრუნველყოფილია დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება</p>

**ა.ა) მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ნარჩენების გატანა**

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
030101			2481,8
<p>გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა</p>	<p>მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება</p>		
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ქვეპროგრამა გულისხმობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავების უზრუნველყოფას, რაც თავის მხრივ მოიცავს ქუჩებისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის დახვეტას, ნაგვის ურნებში განთავსებას და ნარჩენების გატანას. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტს ემსახურება 35(54 ნორმით) მეეზოვე, რომელიც ყველდღიურად ასუფთავებს 170713 კვმ ფართობს. დგას 779 ურნა. მიუხედავად აღნიშნულისა მუნიციპალიტეტში დარჩენილია ისეთი ადგილები რომელიც დღეს მდგომარეობით არ სუფთავდება რადგან არ არის შესაბამისი ტექნიკა და ნაგვის ურნები. ჩვენი მიზანია ნელ ნელა სრულად მიეწოდოს მოსახლეობას აღნიშნული სერვისი.</p>		
<p>ქვეპროგრამის შუალედური შედეგი</p>	<p>მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და შენარჩუნება და დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება</p>		

**ა.ბ) ნარჩენების გადამუშავება**

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ნარჩენების გადამუშავება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
030102			270,0



გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება მიზანი 12 - მდგრადი მოხმარება და წარმოება
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება შ.პ.ს. „მარნეულის ორგანიზაციის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო“-ს სუბსიდირება, ნაგავსაყრელოს სრული დატვირთვით მუშაობის უზრუნველსაყოფად, რაც აუმჯობესებს ქალაქის სანიტარულ და ეკოლოგიურ მდგომარეობას
ქვეპროგრამის შუალედური შედეგი	ხელშეწყობილია მუნიციპალიტეტში დასუფთავების სერვისის მიერ შეგროვილი ნაგვის გადამამუშავება და დამატებითი შემოსავლების მოზილეობა

**ა.გ) გარემოს დაცვითი სხვა ღონისძიებები**

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	გარემოს დაცვითი სხვა ღონისძიებები	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
030103			71,9
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა		მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქალაქში არსებული მდგომარეობით მრავლადაა ქუჩის ძაღლები და არსებული ფაქტებით მათგან დაფიქსირდა ადამიანისათვის საშიში დაავადების მატარებელი შინაურ ცხოველთა არსებობაც, აღნიშნული ქვეპროგრამის მიზანია ქალაქში არსებული ყველა უმეთვალყურეოდ დარჩენილი ქუჩის ძაღლის მონიტორინგი, მათი სტერილიზაციის, ასევე მათგან დაავადებული ძაღლების საჭიროების შემთხვევაში ევთანაზიის და ცხოველთა სამარხში გადაყვანის მომსახურება, ასევე ნაწილი მათგანის ცხოველთა თავშესაფარში გადაყვანა შესაბამისი სტანდარტების დაცვით.	
ქვეპროგრამის შუალედური შედეგი		უზრუნველყოფილია მიუსაფარი ცხოველების პოპულაციის მართვა და გადამდები დაავადებების რისკის შემცირება	

**ბ) მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება**

კოდი	პროგრამის დასახელება	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
0302			382,6
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა		მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება მიზანი 15 - დედამიწის ეკოსისტემები	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ახალი ხეების, ყვავილების და სხვადასხვა ნარგავების დარგვა, ახალი გამწვანების ზონების შექმნა. არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა პატრონობა. ხეების გადაბეღვა და შეთეთრება, რათა შენარჩუნებული იქნეს და გაუმჯობესდეს მუნიციპალიტეტის მწვანე საფარი.	
ქვეპროგრამის შუალედური შედეგი		უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის გამწვანება და არსებული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა	



გ) კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში

კოდი	პროგრამის დასახელება	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
0303			1551,5
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა გულისხმობს ნაგავმზიდი მანქანების და ნაგვის კონტეინერების შექმნას, რათა ნელნელა სრულად მოხდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ათვისება როგორც ნარჩენების ურნების განაწილებით ასევე ნარჩენების გამოტანა მოხდეს დროულად და შესაბამისი ინტენსივობით, 2023 წელს მოხდა 4 ერთეული ნაგავმზიდის შექმნა ხოლო ანაზღაურების ნაწილი გათვალისწინებულია 2024 წელს		
პროგრამის საბოლოო შედეგი	ახალი ურნების და ნაგავმზიდი მანქანების შექმნით უზრუნველყოფილია ნარჩენების დროული გატანა		

3. განათლება (კოდი 0400)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია. ასევე დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ხორციელდება საჯარო სკოლი მოსწავლეთა ტრანსპორტირება და სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წელი			2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	5700,0	5700,0	0,0	5700,0	5700,0	5700,0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	477,9	440,5	37,4	0,0	0,0	0,0
04 03	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	1703,5	72,0	1631,5	72,0	72,0	72,0
04 03 01	პედაგოგთა დახმარება	72,0	72,0	0,0	72,0	72,0	72,0
04 03 02	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება	1631,5	0,0	1631,5	0,0	0,0	0,0
	სულ პრიორიტეტი	7881,4	6212,5	1668,9	5772,0	5772,0	5772,0

ა) სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება





კოდი	პროგრამის დასახელება	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
04 01			5700,0
	გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის	
	პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტში სულ 3000 სკოლამდელი ასაკის ბავშვია რეგისტრირებული, ტერიტორიაზე განთავსებულ 14 საბავშვო ბაღში დღეის მდგომარეობით შესაძლებელია 2749 ბავშვის სწავლება, მათ შორის 1161 გოგო, 1373 ბიჭი. ხოლო 251 ბავშვი მოკლებულია შესაძლებლობას ისარგებლოს შესაბამისი მომსახურებით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 14 საბავშვო ბაღი, რომლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ააიპ "საბავშვო ბაღების გაერთიანება". სულ სკოლამდელი დაწესებულებებში დასაქმებულია 350 თანამშრომელი, მათ შორის 68 აღმზრდელი და 68 თანამშემწე. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელო უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის(ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება. ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება.  პროგრამა პასუხობს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მუნიციპალიტეტის ლოკალიზების გეგმის შემდეგი ამოცანის შესრულებას:  4.2 2030 წლისთვის ყველა გოგონასა და ბიჭისთვის ადრეულ ასაკში განვითარებისა და ზრუნვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რათა ისინი მზად იყვნენ სკოლამდელი განათლებისათვის	
	პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფილია სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდის სფეროს თანაბარი ხელმისაწვდომობა 2-დან 6 წლამდე ბავშვებისთვის და ხელშეწყობილია სკოლის ასაკს მიღწეული ბავშვების მზაობა საშუალო განათლების მისაღებად.	

## ბ) სკოლამდელი დაწესებულებების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა

კოდი	პროგრამის დასახელება	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
04 02			477,9
	გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის  მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა	
	პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სკოლამდელი დაწესებულებების მცირე რეაბილიტაცია უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით	
	პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სკოლამდელი ასაკის ბავშვების სააღმზრდელო ადგილებით უზრუნველყოფა	

## გ) ზოგადი განათლების ხელშეწყობა



კოდი	პროგრამის დასახელება	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
04 03			1703,5
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა		მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის	
პროგრამის აღწერა და მიზანი		პროგრამა ითვალისწინებს „მარნეულის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლების წახალისების წესი“ საფუძველზე მარნეულის მუნიციპალიტეტის არაქართულენოვან სკოლებში ქართულის როგორც მეორე ენის საგნობრივი პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლების დაფინანსებას. ასევე პროგრამით 2024 წელსაც განხორციელდება დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება.	
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი		საჯარო სკოლებში კეთილსაიმედო სასწავლო გარემოს შექმნა.	

### გ.ა) პედაგოგთა დახმარება

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	პედაგოგთა ტრანსპორტირების ხარჯები	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
04 03 01			72,0
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამა ითვალისწინებს „მარნეულის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლების წახალისების წესი“ საფუძველზე მარნეულის მუნიციპალიტეტის არაქართულენოვან სკოლებში ქართულის როგორც მეორე ენის საგნობრივი პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლების დაფინანსებას ყოველთვიურად 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, წლის განმავლობაში 10 (ათი) თვე (გარდა ივლისისა და აგვისტოსი).	
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი		ქვეპროგრამა ხელს უწყობს „ქართულის როგორც მეორე ენის“ სასწავლო პროგრამის განხორციელებას	

### გ.ბ) საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
04 03 02			1631,5
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამა ითვალისწინებს ხელშეკრულებით დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირებას.	
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი		მოსწავლეთა დროული და უსაფრთხო ტრანსპორტირება სკოლებში	



#### 4. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (კოდი 05 00 )

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად ერთად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს სპორტული და კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს; მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის, დემოკრატიის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა. რისთვისაც ერთ-ერთი საჭირო და მნიშვნელოვანი მექანიზმია მოსახლეობის ინფორმირება ადგილობრივი ხელისუფლების (როგორც წარმომადგენლობითი ისე აღმასრულებელი ორგანოს) მიერ მუნიციპალიტეტში გაწეული საქმიანობის შესახებ.

პროგრამული კოდი	დასახელება	2024წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
<b>05 01</b>	<b>სპორტის სფეროს განვითარება</b>	<b>5570,0</b>	<b>6780,0</b>	<b>4746,3</b>	<b>3983,6</b>
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	2470,0	2470,0	2470,0	2470,0
05 01 02	სპორტული ღონისძიებები	91,9	90,0	60,0	60,0
05 01 03	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	3008,1	4220,0	2216,3	1453,6
<b>05 02</b>	<b>კულტურის სფეროს განვითარება</b>	<b>3454,9</b>	<b>5432,2</b>	<b>3180,0</b>	<b>3180,0</b>
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	2253,0	2300,0	2300,0	2300,0
05 02 02	კულტურის სფეროს ღონისძიებები	519,8	515,0	460,0	460,0
05 02 03	კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	250,0	2197,2	0,0	0,0
05 02 04	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	432,1	420,0	420,0	420,0
<b>05 03</b>	<b>ახალგაზრდობის მხარდაჭერა</b>	<b>110,0</b>	<b>110,0</b>	<b>110,0</b>	<b>110,0</b>
<b>05 04</b>	<b>ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა</b>	<b>158,1</b>	<b>150,0</b>	<b>150,0</b>	<b>150,0</b>
	<b>სულ პრიორიტეტი</b>	<b>9293,0</b>	<b>12472,2</b>	<b>8186,3</b>	<b>7423,6</b>

#### ა) სპორტის სფეროს განვითარება

კოდი	პროგრამის დასახელება	სპორტის სფეროს განვითარება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 01			<b>5570,0</b>
		მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის	
		მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა	



<p><b>გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა</b></p>	<p>მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება</p> <p>მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე</p>
<p><b>პროგრამის აღწერა და მიზანი</b></p>	<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. 2024 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და დაფინანსდება: სპორტული სკოლა, რომელიც აერთიანებს დაახლოებით 1400 სპორტსმენს; პროგრამის ფარგლებში მოხდება სპორტული ობიექტების მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაცია;</p>
<p><b>მოსალოდნელი საბოლოო შედეგი</b></p>	<p>სპორტის საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ფორმირება; სპორტული ტრადიციების დაცვა, გადამცემა, თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობა, სპორტის განვითარება; სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მატერიალური და ტექნიკური ბაზის განმტკიცება, სპორტის ინდუსტრიის განვითარება;</p>

**ა.ა) სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა**

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 01 01			2470,0
<p><b>გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა</b></p>	<p>მიზანი 10: შემცირებული უთანასწორობა</p> <p>მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება</p> <p>მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე</p>		
<p><b>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</b></p>	<p>აიპ "მარნეულის მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლა" - უზრუნველყოფს სპორტული სექციების მუშაობას 17 სპორტის სახეობის მიმართულებით, 26 სპორტულ ობიექტზე, 58 ჯგუფის და 64 მწვრთნელის (მათ შორის 6 ქალი) მეშვეობით, რომლებიც ემსახურებიან სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის (3 დან - 25 წლამდე) დაახლოებით 1300 ბენეფიციარს. გახსნილია სპორტული წრეები შემდეგი მიმართულებით: ქართული ჭიდაობა, ძიუდო. "judo kids" (საბავშვო ძიუდო), თავისუფალი ჭიდაობა, კრივი, ტაეკვონდო, კიკბოქსინგი, ფეხბურთი, რაგბი, ფრენბურთი, ბატუტზე ხტომა, მხატვრული ტანვარჯიში, მშვილდოსნობა, მკლავჭიდი, კარატე, ჯადრაკი, ძალისმიერი სამჭიდი, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, 18 ადმინისტრაციული ერთეულიდან მინიმუმ ერთი სპორტული ჯგუფი ფუნქციონირებს 12 ერთეულში. სპორტული სკოლა საქმიანობის ფარგლებში პრიორიტეტს ანიჭებს იმ სპორტის სახეობების გაფართოებას, რომლებიც უკეთესად უზრუნველყოფენ გოგნებისა და ბიჭების შედარებით თანაბარ ჩართულობას. სპორტულ სკოლაში ფუნქციონირებს მშვილდოსნობის ჯგუფი პარამშვილდოსნებისთვის, შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე მწვრთნელის მონაწილეობით. სპორტსკოლა არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორცაა სკოლაში არსებული სპორტის სახეობების მიხედვით ქალაქის, ეროვნული ნაკრები გუნდების კანდიდატებისა და სელექციის მეშვეობით შერჩეული პერსპექტიული სპორტსმენების მზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის რეზერვის მომზადება. სკოლის შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების ნაწილობრივი დაფინანსება.</p> <p>სარაკბო კლუბ-მარნეულის "არმაზის" ხელშეწყობა, რაგბის პოპულარიზაცია და სარაკბო საბავშვო სექციების განვითარება მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში.</p>		
<p><b>მოსალოდნელი შუალედური შედეგი</b></p>	<p>სპორტის საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ნაწილის ტერიტორიაზე, სპორტის განვითარება; სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია;</p>		



**ა.ბ) სპორტული ღონისძიებები**

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სპორტული ღონისძიებები	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 01 02			91,9
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, ახალგაზრდების სპორტით დაინტერესება. სპორტის სახეობების დამატება,	
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი		სპორტის პოპულარიზაცია, მასობრივი სპორტი განვითარება	

**ა.გ) სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა**

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 01 02			3008,1
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა		მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში ახალი სპორტული ობიექტების მოწყობა, 2024 წელს არანაკლებ 6 მინი სპორტული კონბირირებული მოედნის მოწყობა და სამუშაოებზე ზედამხედველობის განხორციელება	
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი		მოწყობილია სპორტული ინფრასტრუქტურა	

**ბ) კულტურის სფეროს განვითარება**

კოდი	პროგრამის დასახელება	კულტურის სფეროს განვითარება	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02			3454,9
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა		მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი	





	განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე
<b>პროგრამის აღწერა</b>	მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება კულტურის სფეროს დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში მოხდება კულტურის სფეროს ობიექტების რეაბილიტაცია და რელიგიური ორგანიზაციების სუბსიდირება.
<b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>	მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება; კულტურული თვითმყოფადობის გაცნობიერებისა და გაღრმავების ხელშეწყობა; განათლების დონის ინტელექტისა და კულტურის ამაღლება; კულტურის სფეროს დარგების განვითარება და მათი პოპულარიზაცია; შემოქმედებითი პროცესების სტიმულირება.

**ბ.ა) კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა**

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 01			2253,0
<b>გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა</b>	მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე		
<b>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</b>	განხორციელდება სხვადასხვა კულტურული აქტივობების ორგანიზება, მათ შორის ქალაქისა და ქვეყნის ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა. ქალაქის მოსახლეობისა თუ სტუმრებისათვის მრავალფეროვანი სანახაობის შეთავაზება. კულტურის ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეთავაზება და მაქსიმალური მხარდაჭერა. დღაწმომოსილ მოქალაქეთა განვლილი გზის განზოგადება და დაფასება (იუბილეები, შეხვედრები, ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და ა.შ.). ქართული კულტურის პოპულარიზაცია და მარნეულის როგორც ამ კულტურის ტრადიციის მატარებელი ქალაქის გაცნობა ქვეყნის გარეთ და რეგიონში. ქალაქში არსებული დიასპორების უშუალო ჩართულობა ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში და ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზება. მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის კოორდინირება და დახმარების გაწევა, სახელოვნებო დარგების განვითარების ხელშეწყობა, პოპულარიზაცია. სოციალურად მნიშვნელოვანი პროექტების, სხვადასხვა მიმართულების შემოქმედებითი საქმიანობის უზრუნველყოფა. ინდივიდუალური შემსრულებლებისა და შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობის ხელშეწყობა: სამუსიკო, ქორეოგრაფიული, ფოლკლორის, ხატვა-ფერწერა, კლასიკური მუსიკა, თეატრი, თანამედროვე ქორეოგრაფია, ფოტოხელოვნების, ვიკალურ ინსტრუმენტალური წრეების, ლიტერატურული კლუბების, ახალგაზრდა ადგილობრივი ნიჭიერი მწერლების, შემოქმედების პოპულარიზაციისთვის პირობების შექმნა, ეროვნული საზოგადოების ჭეშმარიტ მოქალაქეებად აღზრდის და ჩამოყალიბების ხელშეწყობა, კულტურული და სოციალური თვითშეგნების, ესთეტიკური განვითარების სრულყოფა. 2020 წლიდან ფუნქციონირებს რაიონში თეატრალური დასი, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების კეთილდღეობაში მისი როლის შესახებ ცნობიერების ამაღლებას. ხელსაყრელი გარემოს შექმნა კულტურული ცხოვრების, მისი ახლებური გააზრების, შემოქმედებითი საქმიანობის განვითარებისა და კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებისთვის. საზოგადოებრივი ინტერესის გაზრდა თეატრის მიმართ და თეატრალური ხელოვნების განვითარების, პოპულარიზაციის ხელშეწყობა.		
<b>ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი</b>	კულტურის ცენტრი ფუნქციონირებს გამართულად, უზრუნველყოფილია კულტურულ-შემოქმედებითი წრეების თანაბარი ხელმისაწვდომობა		

**ბ.ბ) კულტურის სფეროს ღონისძიებები**



კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	კულტურის სფეროს ღონისძიებები	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 02			519,8
	გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 10: შემცირებული უთანასწორობა მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე	
	ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს საქართველოში არსებული და მარნეულის მუნიციპალიტეტისათვის დამახასიათებელ კულტურულ (წოდებულ ბაირამი) ღონისძიებების სრულფასოვნად ჩატარებას (სასაჩუქრე კალათების, თაიგულების, გვირგვინების, დეკორაციების შეკვეთა - შესყიდვა). კონცერტებისათვის მომღერლების, სცენისა და განათება-გახმოვანების დაქირავებას, მათი მონტაჟი- დემონტაჟი. თეატრალიზებული წარმოდგენებისთვის ფორმების შექმნა ან დაქირავება. საგამოფენო სივრცის მოწყობის მიზნით პროდუქტის შექმნა. მარნეულში ტრადიციად დამკვიდრდა და აღინიშნება ღვინის დღე სახელწოდებით "მარნეული ვაზის აკვანი". ღონისძიების ფარგლებში ტარდება სხვადასხვა საშემოდგომო რიტუალები. კულტურული მემკვიდრეობის, ტურიზმის და საგანმანათლებლო მიმართულების აქტივობები.	
	ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ჩატარებულია კულტურული ღონისძიებები და ხელშეწყობილია მოსახლეობის ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში	

### ბ.გ) კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა (050203)

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 03			250,0
	გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე	
	ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია კულტურის ობიექტების მოვლა შენახვა, რეაბილიტაცია.	
	ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მუნიციპალიტეტში არსებული კულტურის ობიექტების შენარჩუნება, ახალი ობიექტების მშენებლობა რათა შენარჩუნდეს და გაიზარდოს კულტურით დანტერესებული მოსახლეობის ხელმისაწვდომობის დონე.	

### ბ.დ) რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა (050204)

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 04			432,1
		ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე	





<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>არსებული ეკლესია მონასტრების და მეჩეთების ფინანსური მხარდაჭერა, კერძოდ 400,0 ათ.ლარით დაფინანსდება „მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქია“, სრულფასოვანი ფუნქციონირების ხელშეწყობისა და ისტორიული ძეგლების მოვლა-შენახვის ხარჯების დასაფარად, ხოლო 20,0 ათ.ლარი განსაზღვრულია რელიგიური დაწესებულებების კომუნალური გადასახადებისათვის. კომუნალური გადასახადების დაფარვა ხდება შემდეგი წესით :1) იმ ეკლესია-მონასტრებისათვის და მეჩეთებისათვის რომელიც ქალაქ მარნეულში მდებარეობს-300 ლარამდე 2) ეკლესია-მონასტრებისათვის და მეჩეთებისათვის რომელიც სოფლად მდებარეობს და არ არის შეყვანილი ბუნებრივი აირი -100 ლარამდე 3) ეკლესია-მონასტრებისათვის და მეჩეთებისათვის რომელიც სოფლად მდებარეობს და არის შეყვანილი ბუნებრივი აირი - 50 ლარამდე.</p>
<p>ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი</p>	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების და მეჩეთების ფინანსური მხარდაჭერა</p>

**გ) ახალგაზრდობის მხარდაჭერა (კოდი 0503)**

კოდი	პროგრამის დასახელება	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 03			110,0
<p>გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა</p>	<p>მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა</p> <p>მიზანი 10: შემცირებული უთანასწორობა</p> <p>მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე</p>		
<p>პროგრამის აღწერა</p>	<p>დამტკიცებული „ინიციატივების თანადაფინანსებისა და ახალგაზრდული იდეების განხორციელების წესი“ შესაბამისად გამოცხადდება ახალგაზრდული იდეების კონკურსი, ადგილობრივი ახალგაზრდული ორგანიზაციების, საინიციატივო ჯგუფების და აქტიური ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი პროექტების დასაფინანსებლად;</p> <p>მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული „მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სტუდენტებისათვის მგზავრობის ხარჯებით დახმარების წესი“ და „მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული წარმატებული სტუდენტების წახალისების წესი“ შესაბამისად, სტუდენტებს წახალისების მიზნით, გადაეცემათ მერის ჯილდო და თვითმმართველობის მიერ მოხდება აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე სტუდენტების ტრანსპორტირების ხარჯების უზრუნველყოფა. საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა გზებით და მეთოდებით (არაფორმალური განათლების ლექციები, ბანაკები ლიდერთა სკოლები და ა.შ ღონისძიებების განხორციელება როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ ფორმატში. მერიის მიერ ინიცირებული ახალგაზრდული აქტივობები (ახალგაზრდების კონკურსებში, იმიტირებულ აქტივობებში, შემეცნებით ბანაკებში, დასუფთავებისა და გარემოს დაცვითი აქციებში, ტურებში, სემინარებსა და ტრენინგებში, კონფერენციებსა და ფესტივალებში მონაწილეობისათვის.)</p> <p>„ინიციატივების თანადაფინანსებისა და ახალგაზრდული იდეების განხორციელების“ პროგრამა მარნეულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ახალგაზრდა (30 წლამდე) პირების, ახალგაზრდული ორგანიზაციების, საინიციატივო ჯგუფებისა და ადგილობრივი</p> <p>არასამთავრობო ორგანიზაციების გააქტიურებს, მათი ინიციატივების მხარდაჭერა მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი პროექტებისა და ახალგაზრდებისთვის საჭირო აქტივობებს გამოავლენს. „მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სტუდენტებისათვის მგზავრობის ხარჯებით დახმარება“ წახალისებას მოახდენს და ხელს შეუწყობს სტუდენტებს მიიღონ უმაღლესი განათლება. მერიის მიერ ინიცირებული ახალგაზრდული აქტივობები (ახალგაზრდების კონკურსებში, იმიტირებულ აქტივობებში, შემეცნებით ბანაკებში, დასუფთავებისა და გარემოს დაცვითი აქციებში, ტურებში, სემინარებსა და ტრენინგებში, კონფერენციებსა და ფესტივალებში მონაწილეობისათვის.) ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდების ინტეგრაციას და განვითარებას სრულყოფილ მოქალაქედ, ახალგაზრდა ლიდერების ჩამოყალიბებას და მათი უნარების განვითარებას. ახალგაზრდების სამოქალაქო მონაწილეობის ხელშეწყობას, მათთვის ჯანსაღი გარემოს შექმნას, თანასწორი შესაძლებლობები მინიჭებას „ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობას.</p>		
<p>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>ხელშეწყობილია ახალგაზრდობის განვითარების მხარდაჭერი და ინსტიტუციონალურად ჩამოყალიბებული სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ახალგაზრდების მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, არაფორმალური განათლების და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და თანაბარ შესაძლებლობებს.</p>		



## დ) ტელე-რადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა

კოდი	პროგრამის დასახელება	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 04			158,1
	<b>გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა</b>	მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე	
	<b>პროგრამის აღწერა</b>	პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის, დემოკრატიის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფას. რისთვისაც ერთ-ერთი საჭირო და მნიშვნელოვანი მექანიზმია მოსახლეობის ინფორმირება ადგილობრივი ხელისუფლების (როგორც წარმომადგენლობითი ისე აღმასრულებელი ორგანოს) მიერ მუნიციპალიტეტში გაწეული საქმიანობის შესახებ. მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების, პროგრამებისა და აქტივობების შესახებ სრული ინფორმაციის დროული გავრცელება. აღნიშნული მექანიზმის ეფექტიანად ამუშავებისათვის აუცილებელია ტელევიზიასთან მჭიდრო თანამშრომლობა, რომლის ფარგლებშიც მოხდება საკრებულოს სხდომების, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა საქმიანი შეხვედრებისა და გაერთიანებული თათბირების გაშუქება, რომელიც შეიცავს საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციებს. უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციის განცხადების სახით გავრცელება და სხვა მნიშვნელოვანი და აქტუალური თემების გაშუქება.	
	<b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>	შექმნილია პირობები ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად	

## 5. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

პროგრამული კოდი	დასახელება	2024			2025	2026	2027
		სულ	ადგილობრივი	ტრანსფერი	სულ	სულ	სულ
06 01	<b>ჯანმრთელობის დაცვა</b>	<b>415,3</b>	<b>99,0</b>	<b>316,3</b>	<b>313,3</b>	<b>313,3</b>	<b>313,3</b>
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	415,3	99,0	316,3	313,3	313,3	313,3
06 02	<b>სოციალური დაცვა</b>	<b>3152,6</b>	<b>3147,6</b>	<b>5,0</b>	<b>2703,0</b>	<b>2703,0</b>	<b>2703,0</b>
06 02 01	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	2001,6	2001,6	0,0	2000,0	2000,0	2000,0
06 02 02	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	1146,0	1146,0	0,0	700,0	700,0	700,0
06 02 03	სარიტუალო მომსახურება	5,0	0,0	5,0	3,0	3,0	3,0



	სულ პრიორიტეტი	3567,9	3246,6	321,3	3016,3	3016,3	3016,3
--	----------------	--------	--------	-------	--------	--------	--------

ა) ჯანმრთელობის დაცვა (კოდი 0601)

კოდი	პროგრამის დასახელება	ჯანმრთელობის დაცვა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 01			415,3
	გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	<p>მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა</p> <p>მიზანი 2: შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა</p> <p>მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის</p> <p>მიზანი 6 - სუფთა წყალი და სანიტარია</p>	
	პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, პროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია და მშენებლობა.</p> <p>არსებულ ეტაპზე პროგრამით გათვალისწინებულია კოდი 060101 „საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა“ დაფინანსება.</p>	
	პროგრამის მოსალოდნელი შედეგი	მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;	

ა.ა) საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა

კოდი	პროგრამის დასახელება	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 01 01			415,3
	გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	<p>მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა</p> <p>მიზანი 2: შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა</p> <p>მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის</p> <p>მიზანი 6 - სუფთა წყალი და სანიტარია</p>	



<p><b>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</b></p>	<p>მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განხორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აკრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სტრატეგიულ ფუნქციები: გადამდებ/არაგადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება; ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორების მონიტორინგი და მყისიერი რეაგირება საგანგებო სიტუაციების დროს, კოორდინაცია ცენტრალურ სტრუქტურებთან; ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობა. საკვებისა და სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტებისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტების მომზადებაში მონაწილეობა და მუნიციპალური მმართველობის ორგანოების ინფორმირება სავარაუდო საკვებისმიერი და წყლისმიერი ინფექციების გავრცელების მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ; ჯანმრთელობის განმტკიცება ჯანმრთელობის დაცვაში უთანასწორობისა და სოციალურ დეტერმინანტებზე ზემოქმედების განხორციელების გზით; დაავადებათა ადრეული გამოვლენა და პროფილაქტიკა; მოსახლეობის, თემის წარმომადგენლების, ცალკეული მოწყვლადი ჯგუფების ორგანიზება და წარმართვა ჯანმრთელობასა და კეთილდღეობასთან დაკავშირებულ საკითხებში. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება, მოტივირება და შენარჩუნება; საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანიზაციულ-სტრუქტურული სრულყოფა, ადეკვატური დაფინანსების მიღწევა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სერვისებისა და პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; ჯანმრთელობის ადვოკატირება, მოსახლეობასთან კომუნიკაციის გაუმჯობესება, საინფორმაციო განმარტებითი საქმიანობა, სოციალური მობილიზაცია; მტკიცებულებებზე დაფუძნებული ჯანდაცვის პოლიტიკისა და პრაქტიკის წარმოებისათვის კვლევითი სამუშაოების წარმოება და მონაწილეობის მიღება.</p>
<p><b>ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი</b></p>	<p>მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;</p>

**ბ) სოციალური დაცვა**

კოდი	პროგრამის დასახელება	სოციალური პროგრამები	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02			3152,6
გეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა		<p>მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა</p> <p>მიზანი 2: შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა</p> <p>მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის</p>	
		<p>პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სოციალურად დაუცველი და სხვა მოწყვლადი ფენების მოსახლეობის დახმარება მედიკამენტებით, ოპერაციის და მკურნალობის დაფინანსება, ერთჯერადი დახმარებები მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 11 მარტის №9 დადგენილების "მარნეულის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამის დამტკიცების შესახებ" და საკრებულოს სხვა დასხვა განკარგულებების საფუძველზე.</p>	



